



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 157/ს
06/04/2023

157-21-4-202304061306



ქ. გორში, მშენებარე დასასვენებელი პარკის მიმდებარედ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ლიახვის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. გორში, მშენებარე დასასვენებელი პარკის მიმდებარედ მდ. ლიახვის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო უბანი მდებარეობს ქ. გორში, მშენებარე დასასვენებელი პარკის მიმდებარედ, მდ. მტკვრისა და მდ. ლიახვის შესართავთან, მდ. ლიახვის მარცხენა სანაპიროზე. მდ. ლიახვის ჭალა-კალაპოტში მყარი ნატანის აკუმულაციის შედეგად წარმოიქმნა კუნძულები და ნახევარკუნძულები (მცენარეული საფარით დაფარული), რამაც გამოიწვია კალაპოტის გადანაცვლება მარცხენა ნაპირისკენ, რაც საფრთხეს უქმნის მშენებარე დასასვენებელ პარკს. აღსანიშნავია, რომ მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე, დასასვენებელი პარკის ფარგლებში, მოწყობილია ნაპირდამცავი კედელი, რომელიც იწყება არსებული ხიდიდან და გრძელდება მდ. ლიახვის დინების მიმართულებით, დაახლოებით 260 მეტრზე. აღნიშნული კედლის დიდი ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, თუმცა, ზოგიერთ ადგილზე შეინიშნება გამორეცხვები. ამასთან, მდ. ლიახვის ჭალა-კალაპოტში მყარი ნატანის აკუმულაციის შედეგად წარმოქმნილი კუნძულები და ნახევარკუნძულები შემდგომში გამოიწვევს ეროზიული პროცესების გააქტიურებას. ავარიული უბნის დასაცავად, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე არსებული ბეტონის ნაპირდამცავი კედლის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია და მის გაგრძელებაზე (მდ. ლიახვის და მდ. მტკვრის შესართავთან) ახალი მონოლითური რკინაბეტონის დამცავი კედლის მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-4648442; Y-425674; X-4647787; Y-425549; X-4648445; Y-425666; X-4647781 Y-425550; X-4648438; Y-425683; X-46477771; Y-425548. საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 30 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში, მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირზე არსებული ბეტონის კედლის გამორეცხვისგან დაცვის მიზნით გათვალისწინებულია დამცავი ეკრანის განთავსება, რომელიც მოეწყობა 0.8 მ დიამეტრის

ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებისგან (სიგრძე 8 მ). ხიმინჯები განთავსდება ერთ ღერძზე (ბიჯი 1 მ) და მათი გაერთიანება მოხდება მონოლითური რკინაბეტონის როსტვერკით. კედლის ზედაპირზე მოეწყობა მონოლითური რკინაბეტონის პერანგი (საშ. სისქე 15 სმ). ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში, არსებული ბეტონის კედლის გაგრძელებაზე, განთავსდება ახალი მონოლითური რკინაბეტონის კედელი, რომლის სიგრძე იქნება 458.36 მ, ხოლო ტანის სიმაღლე - 6.5 მ. კედლის კონსტრუქციაში მოეწყობა მონოლითური რკინაბეტონის კბილი (სიმაღლე 3.0 მ), რაც უზრუნველყოფს კედლის დაცვას გამორეცხვისგან. ნაპირდაცვითი სამუშაოების პირველ ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიაზე მოხდება 30 მ³ მოცულობის მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც დასაწყობდება მიმდებარედ და შემდგომში გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის. შემდეგ ეტაპზე გრუნტის ჯებირისა და დროებითი ტექნოლოგიური გზის (30 მ) მოსაწყობად გათვალისწინებულია კალაპოტის ბულდოზერით გაჭრა და გრუნტის დამუშავება. გრუნტის დამუშავების შემდგომ, ერთი ძირითადი და ერთი სარეზერვო მოტოტუმბოს საშუალებით, მოხდება წყლის ამოტუმბვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენის მომზადება (30 სმ სისქის ღორღის ფრაქცია, 10 სმ სისქის თიხის შრე და სადრენაჟო პლასტმასის მილი - დიამეტრი 100 მმ), რაზეც განთავსდება ნაპირსამაგრი კედელი. ნაპირდაცვითი სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოხდება ტემპერატურულ-ჯდენადი ნაკრების მოწყობა (სისქე 3 სმ).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ერთი ექსკავატორი, ერთი ბულდოზერი, ერთი ბორტიანი მანქანა, ორი ამწე, ორი ბეტონის პომპა და ოთხი ავტოთვითმცლელი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. მშენებლობისათვის საჭირო ინერტული მასალა შემოტანილი იქნება მუნიციპალიტეტში მოქმედი ლიცენზირებული კარიერებიდან (ზიდვის მანძილი დაახლოებით 5 კმ). ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს და დასაქმდება 15 ადამიანი. სამუშაოების დასრულების შემდგომ დემობილიზებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია და განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციის სამუშაოები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ლიახვისა და მდ. მტკვრის შესართავთან, ნაპირდამცავი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ლიახვის და მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ლიახვის სიგრძეა 98 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 2440 კმ². რაც შეეხება მდ. მტკვარს, მისი სიგრძე შეადგენს 350 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 188000 კმ²-ს. დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი მდ. ლიახვისთვის შეადგენს 1120 მ³/წმ-ს, ხოლო მდ. მტკვრის - 1590 მ³/წმ-ს. სკრინინგის განცხადების მიხედვით, მდ. მტკვრის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 7.52-7.55 მეტრის ტოლია, ხოლო მდ. დიდი ლიახვის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე კი 6.13-6.15 მეტრს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობასთან. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (3 თვე) გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ლიახვის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, სამშენებლო ტექნიკის გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდგომ წყალში მობინადრე სახეობებისათვის მოსალოდნელია დადებითი ეფექტი, ვინაიდან შემცირდება ეროზიული პროცესების განვითარების და შესაბამისად, წყლის სიმღვრივის მატება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საპროექტო ტერიტორიაზე ამგები ქანების გავრცელების მიხედვით, გამოიყოფა შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები: სგე-1 - ნაყარი-თიხნარი, მოყვითალო-ყავისფერი, მნელპლასტიკური, კენჭების და კაჭრების შემცველობით 30%-მდე. სგე-2 - კენჭი (40-50%) და ხრეში (20-30%), კაჭრების ჩანართებით (10-20%) და ქვიშის შემავსებლით, ტენიანი და წყალგაჯერებული. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით და მცენარეული საფარის სიმწირის გათვალისწინებით, ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ. აქ გვხვდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი არ არის. მდ. ლიახვის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება გარემოსდაცვითი ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა და მოწყობილი ნაგებობა დადებითად შეერწყმება ლანდშაფტურ გარემოს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. გორში, მშენებარე დასასვენებელი პარკის მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ლიახვის (მდ. მტკვრის შესართავთან) ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება **არ დაეკვემდება** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო